თბილისის საქალაქო სასამართლოს

სისხლის სამართლის კოლეგიის

მოსამართლეს, ქალბატონ თამარ მჭედლიშვილს

ბრალდებული ვასილ კაძელაშვილის

ადვოკატის, რევაზ აჭარაძის

დასკვნითი სიტყვა

დასრულდა წინამდებარე საქმის არსებითი განხილვის ეტაპი, რა დროსაც სასამართლოში გამოკვლეულ იქნა არაერთი ბრალდების მიერ წარმოდგენილი ე. წ. დანაშაულის მამხილებელი „მტკიცებულება". ბრალდების მხარის მიერ სასამართლოში დაკითხული მოწმე თუ წერილობითი მასალა არ შეიცავდა რაიმე სახის მამხილებელ ინფორმაციას, რაც გარეშე მესამე ობიექტურ პირს, როგორც მოსამართლეა არა თუ დაარწმუნებდა ვასილ კაძელაშვილის მხრიდან რაიმე დანაშაულებრივი ქმედების ჩადენას არამედ პირიქით გაუმყარებდა რწმენას რომ იგი არის აბსოლუტურად უდანაშაულო და არ მიუძღვის არანაირი სახის დანაშაულის ჩადენაში წვლილი.

თავისთავად პირველივე ეტაპზე აუცილებელია იმის აღნიშვნა, რომ მტკიცების ტვირთი არის პროკურატურაზე.

ვის ევალება ბრალდების მტკიცება? ვინ არის პასუხისმგებელი სასამართლოში წარმოადგინოს ერთმანეთთან შეთანხმებული და დამაჯერებელი მტკიცებულებები? თავისთავად ბრალდების მხარე. რაიმე სადავო მტკიცებულების შემთხვევაში საკითხი ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა გადაიჭრას. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს დასკვნით (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2001 წლის 20 მარტის გადაწყვეტილება საქმეზე Telfner v.Austria, პუნქტი 15), უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვევა, თუ მტკიცების ტვირთი ბრალდების ნაცვლად დაცვას დაეკისრება. ჩვენს რეალობაში, ვასილ კაძელაშვილთან მიმართებით, როდესაც სულიერი არავინაა ვინც ვასილ კაძელაშვილის რაიმე სახის ქმედებაზე რაიმე განმარტებას გააკეთებს, არ არსებობს არანაირი მტკიცებულება გარდა ფანტაზიის ნაყოფის მქონე პატაკებისა ბრალდების მხარეს სურს რომ სასამართლო ამ უკანონობაში ჩარიოს და თითქოსდა ის რომ ორი საათი კითხულობდა დაზარალებულთა ჯანმრთელობის ცნობებს, ფარდა ჟალუზების და გათბობა გაგრილების სისტემის ღირებულებას, ამით მიაღებინოს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი.

როგორც საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მკაცრად განმარტავს, რომ ნორმა რომლითაც პირს ედავებიან სისხლის სამართლებრივი წესით უნდა იყოს განჭვრეტადი და არ უნდა არსებობდეს რაიმე სახის ბუნდოვანება, ამაშივე გულისხმობს ბრალდების შინაარსს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე „საქართველოს სახალხო დამცველი, საქართველოს მოქალაქე ელგუჯა საბაური და

რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ზვიად მანია საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ[1]" სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუცია განამტკიცებს კანონიერების პრინციპს (nullum crimen sine lege). „კონსტიტუცია უზრუნველყოფს პირის შესაძლებლობას, წინასწარ დადგენილი, საჯაროდ ხელმისაწვდომი და არაინდივიდუალიზებული სამართლებრივი წესების შესაბამისად შეძლოს იმის განჭვრეტა, თუ რა ქმედებები წარმოადგენს სამართალდარღვევებს და საკუთარი ქცევის შესაბამისად წარმართვას, რაც უმნიშვნელოვანესი გარანტიაა თვითნებური დევნისა და ბრალდების წინააღმდეგ."

დანაშაულის კვალიფიცირება ბრალდებულისთვის საკმარისად განჭვრეტადი უნდა იყოს, თუ საქმე შეეხება ბრალდებისთვის დამახასიათებელ ელემენტს (De Salvador Torres v. Spain, § 33; Sadak and Others v. Turkey (no. 1), §§ 52 და 56; Juha Nuutinen v. Finland, § 32).

კითხვა რომელზეც ვსაუბრობთ არის აქტუალური და მნიშვნელოვანი იმდენად რამდენადაც სასამართლოს აღებული აქვს ვალდებულება[2] გადაწყვეტილება იყოს დასაბუთებული, შესაბამისად სამართლებრივ შეფასებაში უზოგადესი ნორმების ჩამოთვლა კი არ უნდა გვხვდებოდეს არამედ მსჯელობა და სადავო საკითხის განმარტება. მტკიცებულებების ანალიზი და შეჯერება, რაც ჩვენ ბრალდების მხარისგან ვერ მივიღეთ და პირიქით მუდმივად სხდომათა განმავლობაში ხდებოდა ბრალდების მიერ თავისივე ბრალის პერეფრაზირებები, გაკეთილშობილების მცდელობები რაც დაუშვებელია.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით:

გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ერთმანეთთან შეთანხმებულ, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობას, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა ადასტურებს პირის ბრალეულობას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2016 წლის 26 ივლისის №251აპ-16 განაჩენი, პუნქტი 29 და 2016 წლის 9 თებერვლის N453აპ-15 განაჩენი, პუნქტი 8 - **მტკიცებულებათა ერთობლიობის დროს დასაბუთებულობის მაღალი სტანდარტიდან გამომდინარე, პირის მსჯავრდებისათვის მინიმუმ ორი პირდაპირი ხასიათის მტკიცებულება უნდა არსებობდეს. მხოლოდ ერთი პირდაპირი მტკიცებულების არსებობა არ აკმაყოფილებს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის საჭირო გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტს.**

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, თავის 2015 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებაში მიუთითებს შემდეგ მნიშვნელოვან და სახელმძღვანელო პრინციპებს:

მტკიცებულების საფუძველზე მიღებულმა ინფორმაციამ უტყუარად, ერთმნიშვნელოვნად უნდა მიუთითოს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის დასადასტურებლადაც არის წარმოდგენილი. (ჩვენს შემთხვევაში ვასილ კაძელაშვილმა რა დააორგანიზა, ვის რა როლები გაუნაწილა, რა შედეგთან აქვს მას კავშირი და რატომ) მტკიცებულების წარდგენის მიზანს საქმისთვის რელევანტური ფაქტებისა თუ გარემოებების დადასტურება წარმოადგენს, რაც, საბოლოო ჯამში, პირის ბრალეულობაზე მიუთითებს და არა ის რასაც ბრალდება 09 თვეა აკეთებს.

განაჩენი მხოლოდ მტკიცებულებებს უნდა ეყრდნობოდეს. ეს უმნიშვნელოვანესი გარანტია გამორიცხავს, მტკიცებულებების გარეშე, მხოლოდ ვარაუდების გამო პასუხისმგებლობის დაკისრებას. ამდენად, **მტკიცებულებები სისხლის სამართლის პროცესში წარმოადგენს განაჩენის დადგომისთვის უალტერნატივო საშუალებას**.

2022 წლის 03 ნოემბრის საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება **მოქმედი კანონმდებლობა ადგენს ერთიან მტკიცებით სტანდარტს გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად, დანაშაულის კატეგორიის მიუხედავად. არანაირი მნიშვნელობა არ აქვს საქმის სირთულეს, სენსიტიურობას, გარემოს, საგამოძიებო ორგანოს, ბრალდებულს. სასამართლო უნდა იღებდეს გადაწყვეტილებას მტკიცებულებების საფუძველზე.**

გონივრულ ეჭვს მიღმა მტკიცების სტანდარტი დადგენილია, ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ. აღნიშნულთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში TANIS AND OTHERS v. TURKEY, განმარტა შემდეგი: "წერილობითი და ზეპირი მტკიცებულებების შეფასებისას სასამართლო ითვალისწინებს უკვე დადგენილ სტანდარტს - გონივრულ ეჭვს მიღმა. მსგავსი მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ საკმარისად ძლიერი, ნათელი და შეთანხმებული დასკვნებიდან, ან მსგავსი უდავო ფაქტების ვარაუდიდან.

ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–6 მუხლის მე–2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი, ვისაც ბრალად ედება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, ითვლება უდანაშაულოდ, ვიდრე მისი ბრალეულობა არ დამტკიცდება კანონის შესაბამისად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებით, მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს საკმარისად ნათელი და დასაბუთებული დასკვნების ან ფაქტის თაობაზე **გაუქარწყლებელი ვარაუდების** ერთობლიობიდან[3].

ბრალდების მხარე, პირველი წარდგენის სხდომიდანვე მოყოლებული კი არ საუბრობდა რომელიმე ბრალდებულზე ინდივიდუალურად, კი არ საუბრობდა მტკიცებულებებზე, რომელიც რომელიმე ბრალდებულს რაიმეს უმტკიცებდა. ბრალდების მხარემ გადაწყვიტა ამ ადამიანების საქმე ერთად განეხილა, ერთ ქვაბში ჩაეყარა და უბრალოდ ზოგადი ფრაზებით გასულიყო ფონს.

უმთავრესი კითხვა და ვალდებულება რაც პროკურორმა იკისრა საკუთარ თავზე იყო და არის უშუალოდ დაამტკიცოს რაც ბრალად წარედგინა ვასილ კაძელაშვის. ტყუილად არ ვახსენე ზემოთ შესაბამისი პრინციპი და გადაწყვეტილება რაც მიემართება განჭვრეტადობას და იმის ცოდნას თუ რას გედავებიან. გულწრფელად გეტყვით დღემდე ბრალდება ვერ ჩამოყალიბდა რას ედავება ვასილ კაძელაშვილს. დღემდე ცდილობს სხვადასხვა ფრაზებით, ორგანიზება, მოწოდება, ხელმძღვანელობა, როლების განაწილება და მსგავსი ფრაზებით შექმნას ილუზია რომ თითქოსდა ვასილ კაძელაშვილმა რაღაც ჩაიდინა, აქ ავიწყდება ბრალდებას რომ ყველა სიტყვას რასაც იყენებს არგუმენტირებული უნდა იყოს. უნდა გააჩნდეს მტკიცებულება და ეს მტკიცებულება უნდა იყოს პირდაპირი, გადამოწმებადი და უნდა მიუთითებდეს ბრალად წარდგენილ ქმედებებზე, ელემენტებზე, ბრალეულობაზე და არა საჯაროდ ცნობილ ფაქტზე როგორიცაა საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ტერიოტრიაზე უამრავი საქართველოს გუწლრფელი მოქალაქის მიმართ არაადამიანურ, დამამცირებელ, ძალადობრივ მოქმედებებზე და პოლიციის რიგებიდან დაზიანების მქონე ადამიანებზე. ის რომ პოლიციელს დაუზიანდა შუბლი იქნება ეს, ფეხი თუ სხვა ადგილი და ამავე დროს ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ გამზირზე იგივე პოლიციელები წიხლებით სახეში ურტყამდნენ მოქალაქეებს ეს საკითხი ცნობილია ყველასთვის, სამწუხაროდ მხოლოდ პროკურატურა ხუჭავს თვალებს რეალურად ამ

გარემობაზე. ის რომ ჩამოთვალა ათობით პოლიციის მუშაკი და იმედია ისინი ღირსეულად ასრულებენ თავის მოვალეობებს, აღნიშნული არანაირ კავშირში არაა ვასილ კაძელაშვილთან, ის უბრალოა ამ ბრალდებაში და მეტიც გულიც შესტკივა ყველა ადამიანის მიმართ ვინც დაზიანდა და წუხს როგორც პოლიციის მუშაკებზე, ასევე ჩვეულებრივ მოქალაქეებზე.

ამის გამო ჩვენ არ უნდა შევყვეთ ბრალდების ამ დამაბნეველ ფრაზების თამაშს და სასამართლომ როგორც განუმარტა ბრალდებას სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 250-ე მუხლი, უნდა ემტკიცებინათ ბრალი, ბრალი რომელიც მათ არ გადააკვალიფიცირეს, ბრალი რომელიც იყო და არის დაუსაბუთებელი, რადგანაც ვასილ კაძელაშვილი არის უდანაშაულო. სწორედ ამ მიზნიდან გამომდინარე მივყვები ბრალდების შესახებ დადგენილებას დეტალურად და მტკიცებულებებს.

რას ედავებიან ვასილ კაძელაშვილს:

ვასილ კაძელაშვილმა ჩაიდინა ჯგუფური ძალადობის ორგანიზება, ესე იგი ჯგუფური მოქმედების ორგანიზება, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება და განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა და მათზე თავდასხმა.

ბრალდება განმარტავს: მის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოხატა შემდეგში: საქართველოს პარლამენტთან და მის მიმდებარე ტერიტორიაზე 2024 წლის 28 ნოემბრიდან მიმდინარე საპროტესტო აქციების დროს, მიტინგზე შეკრებილმა მოქალაქეების ნაწილმა დაიწყო ჯგუფური ძალადობრივი მოქმედება, რამაც მიიღო სისტემური ხასიათი.

ამ ძალადობრივი ქმედებების განხორციელების ადგილზე მყოფი ვეფხია კასრაძე, ვასილ კაძელაშვილთან და სხვა პირებთან ერთად, ჯგუფური ძალადობის გაგრძელების და გაძლიერების მიზნით, აორგანიზებდნენ ყველა შესაძლო ძალადობრივ მოქმედებებს. კერძოდ, ამუშავებდნენ ჯგუფური ძალადობის სამოქმედო გეგმას, განსაზღვრავდნენ ძალადობრივი ქმედების ჩადენის სავარაუდო ადგილებს, დროსა და ხერხებს, ჯგუფის წევრებისთვის ანაწილებდნენ კონკრეტულ როლებს და თანხმდებოდნენ ძალადობრივი მოქმედებების გაგრძელების აუცილებლობაზე, რასაც თავადვე უხელმძღვანელებდნენ.

გეგმის თანახმად, დეტალურად უნდა შეესწავლათ მათთვის არასასურველ კონკრეტულ პირთა გადაადგილების მარშრუტები, რომელთაც დახვდებოდნენ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილე პირები და მოახდენდნენ მათ მიმართ მძიმე ფიზიკურ ანგარიშსწორებას. აგრეთვე, უნდა განეხორციელებიათ შესაბამისი მოქმედებები მათთვის არასასურველ პირთა ქონების განადგურების მიზნით. კერძოდ, ადვილაალებადი ნივთიერებების ფარულად გამოყენებით და შემდგომ ცეცხლის წაკიდებით გაენადგურებინათ სხვისი ქონება.

დეტალურად გავყვეთ ბრალდების შესახებ დადგენილებას:

ამ ძალადობრივი ქმედებების განხორციელების ადგილზე მყოფი ვეფხია კასრაძე, ვასილ კაძელაშვილთან - საუბარია თითქოსდა რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის შენობის მიმდებარედ ვასილ კაძელაშვილი და ვეფხია კასრაძე არიან. პირველი საკითხი რაც აღსანიშნავია გამოძიების მიერ უტყუარად არ არის დადგენილი რომ ეს ვიდეო სადაც არის გადაღებული არის უშუალოდ პრალემტნის შენობის მიმდებარე ტერიტორია. აღსანიშნავია, რომ გამომძიებლებს დაესვათ კითხვები თუ რითი შეუძლიათ დაადასტურონ რომ ეს რუსთაველის გამზირზე, პარლამენტის

მიმდებარე ტერიტორიაა. იქნება ეს შალვა ჯახუა, ლევან ბასილაძე თუ არსენ ხუნაშვილი მათ განმარტეს რომ დაასკვნეს, ივარაუდეს ჩაცმულობიდან, ხალხის ირგვლივ ყოფნიდან და ერთ-ერთმა ასევე საქართველოში მესამე ყველაზე მაღალი შენობა - ბილტმორი მოიყვანა იმის არგუმენტად რომ ვასილ კაძელაშვილი თითქოსდა რუსთაველზე, უშუალოდ პარლამენტის მიმდებარე ტერიოტირაზე იმყოფება. ზემოხსენებულმა პირებმა ვერცერთმა ვერ თქვეს გადაჭრით რომ ვასილ კაძელაშვილი ვიდეოში იმყოფება პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაზე, მხოლოდ ვარაუდებია. მოგეხსენებათ თბილისში აქციები ყველა სეზონშია და ასევე ბევრი ლოკაცია აქვს, მათ შორის გმირთა მოედანი, ჭავჭავაძის გამზირი, რიყის პარკი და სხვა საიდანაც იგივე წარმატებით შეგვიძლია დავინახოთ ბილტმორის შენობა და მისი კონტური, თავისთავად ბრალზე საუბრისას დაუშვებელია ვარაუდებზე იყოს დამყარებული აღნიშნული და უნდა იცოდეს გადაჭრით გამომძიებელმა იქნება ეს თუ ოპერ მუშაკმა და რაც მთავარია პროკურორმა მტკიცებულებაზე დაყრდნობით რომ ეს ნამდვილად პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიაა.

მეორე კიდევ უფრო საინტერესო მომენტია თუ როდის შეიძლება ეს ვიდეო გადაღებული იყოს, ბრალის მიხედვით ამ ძალადობრივი ქმედებების განხორციელების ადგილზე - თავისთავად იგულისხმება არა უბრალოდ ქ. თბილისი, რუსთაველის გამზირი, პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია, არამედ იგულისხმება პერიოდი (2024 წლის 28 ნოემბრიდან) როდესაც ძალადობა მიმდინარეობდა აქციაზე და ამ ძალადობის გაგრძელებას და ხელმძღვანელობას იხილავდენ თითქოსდა ვასილი და ვეფხია. ვერც ერთმა მოწმემ ვერ დაგვისახელა თუ როდის არის ვიდეო გადაღებული, მათ განმარტეს რომ სავარაუდოდ 28 ნოემბრიდან და შემდეგ დღეებში არის ეს ვიდეო გადაღებული და თავადაც არ იციან არც ეს ვიდეო როდის იქნა შექმნილი (მათი განმარტებით რა არ გააკეთეს, ძალა არ დაიშურეს, ოპერატიული ღონისძიებები ატარეს, მაგრამ ვერ გაარკვიეს ვერც ვინ გადაიღო ვიდეო და ვერც დრო და ადგილი და ის ელემენტალური რომ მისულიყვნენ იმედის ტელევიზიაში აზრადაც არ გასჩენიათ). ასევე არსენ ხუნაშვილმა ისიც დაადასტურა, რომ შესაძლოა საერთოდ ძალადობრივი ქმედებები სანამ დაიწყო პარლამენტის მიმდებარედ მაგ დროინდელი გადაღებულიც იყოსო.

ვიდეოს არ გააჩნია თარიღი, ვიდეოს არ გააჩნია ადგილმდებარეობის რაიმე უტყუარი იდენთიფიკატორი, დაუდგენელია ვის მიერ იქნა ეს ვიდეო გადაღებული (მიუხედავად იმისა რომ მასალებში ვერ ვიპოვით ამ ინფორმაციას, დაკითხვისას არსენ ხუნაშვილმა განმარტა რომ არაერთი ღონისძება რაზეც ოქმი არ დგება ჩაატარეს და მეტი ამ ვიდეოზე გარდა იმისა რომ ფეისბუქზე ტვ იმედის მიერ ატვირთული იყო, სხვა არაფერი გააჩნიათ).

თითქოსდა არგუმენტია ანძების დეტალური, ადგილმდებარეობის ამონაწერი. 2024 წლის 28 ნოემბერს ვასილ კაძელაშვილის სახელზე რიცხული ტელეფონის ნომერი დაუკავშირდა რუსთაველზე მყოფ სატელეფონო ანძას, დრო: 20:56:30 საათი. თუკი ჩვენ დავუჯერებთ ყველა მოწმეს ვინც კი იყო მოსული აქცია თავიდან დაახლოებით 28 ნოემბრის 23:00 საათამდე იყო მშვიდობიანი და არანაირ ძალადობას არ ქონდა ადგილი. თუკი ჩვენ დავუჯერებთ რომ ეს ვიდეო რუსთაველზეა 2024 წლის 28 ნოემბერს გადაღებული და დრო იქნება 20:56 საათი ანუ ფაქტობრივად ძალადობრივ აქციამდე 02 საათით ადრე, რაზეც არსენ ხუნაშვილი დამეთანხმა რომ კი ბატონი შეიძლება ძალადობამდეც იყო ეს ვიდეო გადაღებული, მაშინ მაქვს კითხვა, ბრალდების დადგენილების მიხედვით - ამ ძალადობრივი ქმედებების განხორციელების ადგილზე მყოფი ვეფხია კასრაძე, ვასილ კაძელაშვილთან და სხვა პირებთან ერთად, ჯგუფური ძალადობის გაგრძელების (თუ არაფერი ხდება აქციაზე და ძალადობა არაა რას ვაგრძელებ?) და გაძლიერების (თუ არაფერი ხდება აქციაზე და ძალადობა არაა რას ვაძლიერებ?) მიზნით. გაგრძელება ნიშნავს რაღაც უკვე ხდება, თუკი პირდაპირი მტკიცებულება არ

მაქვს ეს ვიდეო როდის იქნა გადაღებული, არ გამაჩნია თარიღი, დრო, ადგილი და ყველაფერი მხოლოდ გამომძიებლის და პროკურორის ვარაუდებია და დასკვნები, მაგ წარმატებით ეს ვიდეო 2024 წელსაა გადაღებული, ან 2023 წელს, ან ძალადობრივი სახე სანამ მიიღო აქციამ მანამდე 28 ნოემბერს და ამაზე ერთადერთი პასუხი გვაქვს ჩვენ და ვიცით შემდეგი პრინციპი - ყველა ეჭვი წყდება ბრალდებულის სასარგებლოდ. თავისთავად ეჭვი არ უნდა იყოს ფანტასტიკის სფეროდან და გონივრული უნდა იყოს, როგორც განაჩენია შემდგომ გონივრულ ეჭვს მიღმა და თუკი გამოძიებამ არ იცის ზუსტი დრო და ადგილი ამ ვიდეოს გადაღების რატომ აუცილებლად ისე უნდა იყოს როგორც ბრალდების მხარე განმარტავს.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, თავის 2015 წლის 22 ივნისის გადაწყვეტილებაში მიუთითებს შემდეგ მნიშვნელოვან და სახელმძღვანელო პრინციპებს:

მტკიცებულების საფუძველზე მიღებულმა ინფორმაციამ უტყუარად, ერთმნიშვნელოვნად უნდა მიუთითოს იმ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომლის დასადასტურებლადაც არის წარმოდგენილი.

როდესაც არის ბრალი და მას ვკითხულობ პროკურორმა ყველა დაშვებაზე არგუმენტი/მტკიცებულება უნდა წარმომიდგინოს. რაც არაა სახეზე, რადგანაც საერთოადაც ეს ვიდეო და მისი წარმოშობა არის კანონდარღვევით განხორციელებული და ეს ყველამ ვიცით.

გარდა ამისა, ბოლოს ვასილის სახელზე რიცხული მობილურის ნომერი 28 ნოემბერს რუსთაველზე მყოფ ანძას უკავშირდება 23:16 საათზე, ამ დროსაც კი შეიძლება არ იყო დაწყებული ძალადობა, რადგანაც პოლიციელები აგრესიის დაწყებაზე განმარტავდნენ, დაახლოებით 23:00 საათისთვის ან უფრო გვიან აგრესიული გახდა აქციაო.

ბრალდებამ ვერ გვითხრა როდის არის ეს ვიდეო შექმნილი და ვარაუდობს რომ აი ამ პერიოდში არისო როდესაც ძალადობა მიმდინარეობდაო. ეს რეალობა რატომ გვაქვს? რადგანაც სანდოობისთვის, ავთენტურობისთვის, დამაჯერებლობისთვის რაც შეემატებოდა ვიდეო ჩანაწერს ბრალდებამ არაფერი განახორციელა. კი ბატონო დაუშვებლად არ იქნა ცნობილი ეს ვიდეო ჩანაწერი, თუმცა ლეგიტიმური კითხვები ვერ გააქარწყლა სასამართლოში ბრალდებამ. კითხვები რაზეც გადაჭრით პასუხის ნაცვლად ვიღებთ ვარაუდებს: შექმნის დრო, ადგილი, პირველწყარო, მონტაჟი.

რომც გავყვეთ ამ ვარაუდს და დავუშვათ არაავთენტური ვიდეო, რომლის მოპოვებაც ეჭვის ქვეშაა ჩაწერილი არის 2024 წლის 02 დეკემბერს 21:54 საათზე (რადგანაც ბრალდებამ იხელმძღვანელა ამ ანძების ამონაწერით მაშინ დავსვამ კითხვას, 2024 წლის 02 დეკემბერს ბოლოს 21:54 საათზე ფიქსირდება ვასილ კაძელაშვილის სახელზე რიცხული ტელეფონის ნომერი რომელიც იჭერს რუსთაველზე არსებულ სატელეფონო ანძას), რომელი ძალადობა გააგრძელა ან გააძლიერა ვასილ კაძელაშვილმა და მით უფრო უხელმძღვანელა თუკი ამ თარიღის იქეთ ბრალდების პოზიციითაც კი არ მომხდარა სხვა ჯგუფური ძალადობა და მასში მონაწილეობა. თუკი აი ამ ვარაუდებით ვისაუბრებთ რაც დაგვიტოვა ბრალდებამ რადგანაც თავადაც ამ გზით მიდის, რა გამორიცხავს იმ რეალობას რომ ამ დროს იქნა ვიდეო ჩაწერილი და ამ თითქოსდა გეგმის დასახვის საუბრის შემდგომ ძალადობა მორჩა და დასრულდა და არავის არც ედავებიან უფრო შორეულ თარიღებზე, მაშინ კითხვაა მოახერხა გაძლიერება და გაგრძელება ამ ძალადობის ვასილმა და სხვა დაუდგენელმა პირებმა? აბუსრდია ბატონო მოსამართლევ, პროკურატურა მარჩიელობაზე და იქნებ ისე იყო და იქნებ ასე იყო მიმართულებით გვაწვალებს და ყველას უხერხულ მდგომარეობაში აყენებს, როდესაც ველოდებით

პროკურატურისგან მაღალ სტანდარტს ხელში გვრჩება ეს ჰიპოთეტური მსჯელობები, რაც მიუღებელია. ერთი არგუმენტი მაინც ეთქვა თარიღთან დაკავშირებით, შექმნის დროსთან, ადგილთან, რა ქმედება მოყვა აღნიშნულს რაც აუცილებელი ელემენტებია ამ ბრალდებისთვის.

რატომ არაა ეს ვიდეო სანამ აქციაზე ე. წ. ძალადობა დაიწყებოდა 28 ნოემბრის დაახლოებით 23:00 საათისთვის, რატომ არაა ეს ვიდეო გადაღებული 02 დეკებერს, რომლის შემდგომაც ამ მონაწილეობაზე არავის აღარ ედავებიან და თუკი ბრალდება იტყვის როგორ არ ვედავებით რას ამბობთო, რატომ არ წერია ბრალში აი მაგალთად ამ ფორმულირებით და სხვა პირები რომლებმაც ასევე 03 დეკემბერს და 04 დეკემბერს მიიღეს მონაწილეობა და საერთოდაც რატომ არაა 2023 წელს ეს ვიდეო გადაღებული როდესაც იგივე ჩაცმულობით და ეკიპირებითაა მოქალაქეები? რა მოიტანა პროკურორმა სასამართლოში ამ 08 ტომში სადაა პირდაპირი რაიმე მტკიცებულება ამ ფაქტის.

ამ ძალადობრივი ქმედებების განხორციელების ადგილზე მყოფი ვეფხია კასრაძე, ვასილ კაძელაშვილთან **და სხვა პირებთან ერთად** - საუბარია გაურკვეველ ხალხზე, ვიღაც ადამიანებზე, მასონებზე თუ დიფ სთეითის ხალხზე ამას ვერასდროს გავიგებთ, რადგანაც გამოძიებას არ აინტერესებდა ვინაა კიდევ საუბარში ჩართული, ლევან ბასილაძე იმასაც კი უარყოფდა მესამე ადამიანი საუბარში რო იყო ჩართული, თითქოს ამით თავს დაიძვრენდა კითხვისგან რატომ არაფერი ჩაატარეს რომ დაედგინათ ეს ადამიანი ან სხვა პირები. არსენ ხუნაშვილმა განმარტა რომ მარტივი ნამდვილად არაა კადრში მყოფი პირების დადგენა და მათ ეს სცადეს მაგრამ ვერ მოახერხეს.

500 ლარიანი ჯარიმა რომ დაეწერათ ხალხისთვის მთელი რუსთაველის კამერები ათასჯერ გადაატრიალ გადმოატრიალა შინაგან საქმეთა სამინისტრომ და ასეთი მძიმე დანაშაული თურმე იგეგმება, მეტიც ხორციელდება და 112-ს კამერები გამოთხოვილი კი არა, არც დათვალიერებულია და მეტიც წერილიც კი არაა 112-ში ვიდეოები ხომ არ გაქვს ადგილმდებარეობის, რომ გადავამოწმოთ სად დგანან ვისთან ერთად დგას ვასილი და კომუნიკაცია ვისთან აქვს, თუკი მსგავსი რეალობაა. საქმე იმაშია რომ უბრალოდ დაიჭირეს ეს ადამიანები რომ რაღაც სურათი შეექმნათ, ფონი აი ორგანიზებულ ძალადობას აქვს ადგილიო და ამით დაეზაფრათ ხალხი, დაეშინებინათ გულწრფელი მომიტინგეები.

ამ ძალადობრივი ქმედებების განხორციელების ადგილზე მყოფი ვეფხია კასრაძე, ვასილ კაძელაშვილთან და სხვა პირებთან ერთად, ჯგუფური ძალადობის გაგრძელების და გაძლიერების მიზნით, **აორგანიზებდნენ ყველა შესაძლო ძალადობრივ მოქმედებებს. კერძოდ, ამუშავებდნენ ჯგუფური ძალადობის სამოქმედო გეგმას, განსაზღვრავდნენ ძალადობრივი ქმედების ჩადენის სავარაუდო ადგილებს, დროსა და ხერხებს, ჯგუფის წევრებისთვის ანაწილებდნენ კონკრეტულ როლებს და თანხმდებოდნენ ძალადობრივი მოქმედებების გაგრძელების აუცილებლობაზე, რასაც თავადვე უხელმძღვანელებდნენ.**

აორგანიზებდნენ ყველა შესაძლო ძალადობრივ მოქმედებებს, კერძოდ:

ამუშავებდნენ ჯგუფური ძალადობის სამოქმედო გეგმას. რას ნიშნავს ეს ფრაზა ბატონო მოსამართლევ, რა გეგმა იქნა დამუშავებული, რაზე იქნა შეთანხმება მიღწეული, რა გადაწყდა 200 კაცის მოყვანა თუ მშენებლობები, სადაც ხალხი არაა იმის დაწვა, კაფე-რესტორნები იქნა შეთანხმებული თუ რაში გამოიხატა ჯგუფური ძალადობის სამოქმედო გეგმა.

განსაზღვრავდნენ ძალადობრივი ქმედების ჩადენის სავარაუდო ადგილებს - რა ადგილებზე იქნა შეთანხმება მიღწეული და რომელ ადგილზე რაც კადრებში ისმის მოხდა რაიმე დანაშაული? ნებისმიერი დანაშაული?

დროს და ხერხებ, და რა გაირკვა როდის იგეგმებოდა ეს ჯგუფური ძალადობა, თუკი მიმდინარე ჯგუფურ ძალადობასთან თურმე არანაირი კავშირი არ აქვს ბრალის მიხედვით.

ჯგუფის წევრებისთვის ანაწილებდნენ კონრეტულ როლებს - ვინები არიან ჯგუფის წევრები? რა როლები განაწილდა? ვის მისცა როლი ვასილ კაძელაშვილმა ან ვის დაავალა რაიმე ქმედების განხორციელება? რითი ან საიდან ამტკიცებს პროკურატურა აღნიშნულს? პატაკით? ვიდეოთი? ანძებით? იდუმალი ინფორმატორით? რომელიც ვერც დაიკითხება და არც არსებობს სავარაუდოდ და რის საფუძველზეც ირიბ მოწმეზე მეტი არაფერი (ესეც კი თუ გამოვა) არაა პატაკების ავტორების ჩვენებები, ხელწერილები, რადგანაც წყაროს არ ასახელებენ და ამის გადამოწმება შეუძლებელია[4].

თანხმდებოდნენ ძალადობრივი ქმედებების გაგრძელების აუცილებლობაზე, რასაც თავადვე უხელმძღვანელებდნენ.

სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამსიად: დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა დროის განსაზღვრულ პერიოდში არსებულმა, შეთანხმებულად მოქმედმა, სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფმა, რომლის წევრები წინასწარ შეკავშირდნენ ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად ან რომლის მიზანია პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება.

გეგმის თანახმად:

დეტალურად უნდა შეესწავლათ მათთვის არასასურველ კონკრეტულ პირთა გადაადგილების მარშრუტები:

რა გაირკვა 08 ტომიდან და საქმის არსებითი განხივლის ბოლოს:

შეისწავლეს დეტალურად არასასურველ კონკრეტულ პირთა გადაადგილების მარშრუტები? რაიმე მიუთითებს აღნიშნულს? ვინ არიან ეს არასასურველი კონკრეტული პირები?

დაუდგენელი პირების მარშრუტების აღწერა იყო? ვინმეს აედევნენ და არკვევდნენ დღის წესრიგის დროებს, როდის საუზმობს, როდის რომელ კაფეში დადის და სხვა? ფოტო, ფიდეოები გადაუღეს მამა დავითის, წყნეთის ტერიტორების? საგუშაგოები გახსნეს? გუგლში თბილისის რუკა იქნა დათვალეირებული ვასილის მიერ და მანძილები გადაზომილი? რა გააკეთეს?

დეტალურად უნდა შეესწავლათ მათთვის არასასურველ კონკრეტულ პირთა გადაადგილების მარშრუტები **რომელთაც დახვდებოდნენ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილე პირები:**

რა გაირკვა 08 ტომიდან და საქმის არსებითი განხივლის ბოლოს, დახვდა ვინმეს ვასილისგან დანიშნული პირი ან პირები?

დეტალურად უნდა შეესწავლათ მათთვის არასასურველ კონკრეტულ პირთა გადაადგილების მარშრუტები რომელთაც დახვდებოდნენ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილე პირები **მოახდენდნენ მათ მიმართ მძიმე ფიზიკურ ანგარიშსწორებას:**

რა გაირკვა 08 ტომიდან და საქმის არსებითი განხილვის ბოლოს, მძიმე ფიზიკური ანგარიშსწორება ზემოთ არსებულ არასასურველ კონკრეტულ პირთა მიმართ ჰქონდა ადგილი?

დეტალურად უნდა შეესწავლათ მათთვის არასასურველ კონკრეტულ პირთა გადაადგილების მარშრუტები რომელთაც დახვდებოდნენ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილე პირები მოახდენდნენ მათ მიმართ მძიმე ფიზიკურ ანგარიშსწორებას. **აგრეთვე, უნდა განეხორციელებიათ შესაბამისი მოქმედებები მათთვის არასასურველ პირთა ქონების განადგურების მიზნით.**

რა გაირკვა 08 ტომიდან და საქმის არსებითი განხილვის ბოლოს, გაარკვევს ბოლოს და ბოლოს არასასურველი კონკრეტულ პირთა ქონებები? კალაძის მეუღლის მაღაზია იპოვა ამ ჯგუფმა? ერთი კერძო პირიც კი არაა დაზარალებულად ცნობილი ბატონო მოსამართლევ, არავინ.

დეტალურად უნდა შეესწავლათ მათთვის არასასურველ კონკრეტულ პირთა გადაადგილების მარშრუტები რომელთაც დახვდებოდნენ ჯგუფურ ძალადობაში მონაწილე პირები მოახდენდნენ მათ მიმართ მძიმე ფიზიკურ ანგარიშსწორებას. აგრეთვე, უნდა განეხორციელებიათ შესაბამისი მოქმედებები მათთვის არასასურველ პირთა ქონების განადგურების მიზნით. **კერძოდ, ადვილაალებადი ნივთიერებების ფარულად გამოყენებით და შემდგომ ცეცხლის წაკიდებით გაენადგურებინათ სხვისი ქონება:**

რა გაირკვა 08 ტომიდან და საქმის არსებითი განხილვის ბოლოს, დაწყვეს მამა დავითთან მშენებლობა? წყნეთში მოხდა ხანძრები? კალაძის მეუღლის მაღაზია კვლავ დგას? შეიძინეს ბენზინი, კანისტრები, შპრიცები?

ამ ყველა კითხვაზე არსენ ხუნაშვილი განმარტავდა რომ არა, არ მოხდა, არა არაფერი დაუწვავთ, არა არავის არ დახვედრიან, არა კომუნიკაცია და ნაცნობობა არ დგინდება და სავარაუდოდ ტელეფონების ექსპერტიზები რომ მოვა მანდ ვიხილავთ წარმოუდგენელ მტკიცებულებებს, იმ ფონზე როდესაც არც გამიხსნიაო ტელეფონი და ბრმად გადააგზავნა ექსპერტთან. მხოლოდ ვარაუდები და ფანტაზიები კვლავ.

კონკრეტულადაც რომ შევხედოთ ნორმას რომლითაც ედავებიან ვასილ კაძელაშვილს რა არის და რას მოითხოვს, უფრო დეტალურად რომ გავიაროთ რა არის იმისთვის საჭირო რომ ეს კვალიფიკაცია იყოს ლეგიტიმური. ვთვლი რომ უპრიანი იქნება შემდეგი ნაბიჯებით გავყვეთ კერძოდ კი პირველ რიგში 225-ე მუხლის პირველი ნაწილი შემდეგი ფორმულირებითაა - ჯგუფური მოქმედების ორგანიზება ან ხელმძღვანელობა, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მათზე თავდასხმა - რა არის საჭირო იმისთვის რომ მინიმალური დანაშაულის ნიშნები უკვე გამოჩნდეს, თავისთავად პირველი ნაბიჯია მომზადება, რაც ნებისმიერ დანაშაულს ჭირდება და რა თქმა უნდა მომზადების ეტაპი უნდა იქნეს გადალახული.

რა კითხვებზე უნდა გაეცა ბრალდებას პასუხი და რაზე უნდა წარმოედგინა მტკიცებულებები. უზენაესი სასამართლოს დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, იმისათვის, რომ პირი ცნობილ იქნეს დამნაშავედ სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის

ჩადენაში აუცილებელია, რომ ბრალდების მხარემ წარმოადგინოს სათანადო მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომელიც გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დააკმაყოფილებს ობიექტურ დამკვირვებელს, რომ ჯგუფური ძალადობრივი ქმედების მონაწილეები:

წინასწარ შეკავშირდნენ ჯგუფური დანაშაულის ორგანიზების, ან ხელმძღვანელობის, ან მასში მონაწილეობის განსახორციელებლად; მოქმედებდნენ კონკრეტულ პირთან შეთანხმებით და ასრულებდნენ ვინმეს დავალებებს ან მითითებებს, ან თავად გასცემდნენ რაიმე სახის დავალებებს და მითითებებს; მოქმედებდნენ წინასწარ შეთანხმებით, ჯგუფურად და ორგანიზებულად და არა სპონტანურად, კონკრეტულ დროს, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე; მათ გაცნობიერებული ჰქონდეთ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მიზანი და იცოდნენ საერთო დანაშაულებრივი საქმიანობის ან ამ ჯგუფის მიერ აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენის განზრახვის შესახებ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმე №602აპ-23 ქ. თბილისი ა–ი ა., 602აპ-23 28 სექტემბერი, 2023 წელი განჩინება

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით, კრიმინალიზებულია ჯგუფური მოქმედების ორგანიზება ან ხელმძღვანელობა, რასაც თან ახლავს ძალადობა, რბევა, სხვისი ნივთის დაზიანება ან განადგურება, იარაღის გამოყენება, იარაღის გამოყენებით ხელისუფლების წარმომადგენლისადმი წინააღმდეგობა ანდა მათზე თავდასხმა, ხოლო მეორე ნაწილით - ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში მონაწილეობა.

მითითებული დანაშაულისგან სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება, ხოლო დამატებითი ობიექტი - საკუთრებითი ურთიერთობა და ადამიანის ჯანმრთელობა. ობიექტური მხრივ, დანაშაული გამოიხატება სხვადასხვა ალტერნატიულ მოქმედებაში, კერძოდ: ჯგუფური ძალადობის ორგანიზება და ხელმძღვანელობა გამოიხატება არეულობის ადგილის შერჩევაში, არეულობის დროისა და მისი ჩადენის ხერხის განსაზღვრაში, არეულობის დროს ჯგუფისთვის მითითების მიცემაში, თუ კონკრეტულად რა ქმედება უნდა ჩაიდინონ მათ; მოწოდებაში, არ შეწყვიტონ ძალადობა და ა.შ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმე №397აპ-23 თბილისი წ-ძე ი, 397აპ-23 25 სექტემბერი, 2023 წელი განჩინება

საკასაციო პალატა უთითებს, რომ ჯგუფური ძალადობის ორგანიზებაში მონაწილეობისთვის აუცილებელია მსჯავრდებულებს გაცნობიერებული ჰქონდეთ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მიზანი და იცოდნენ საერთო დანაშაულებრივი საქმიანობის ან ამ ჯგუფის მიერ აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენის განზრახვის შესახებ. ორგანიზებული ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი ნიშანი არის ერთმანეთთან წინასწარ შეკავშირება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმე №468აპ-22 ქ. თბილისი ო. ი. 468აპ-22 1 ნოემბერი, 2022 წელი განჩინება

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ბრალდების მხარე კასატორის მოთხოვნას ი. ო–ის საქართველოს სსკ-ის 225-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულში მსჯავრდების შესახებ. სასამართლო ითვალისწინებს, რომ მოცემულ შემთხვევაში ბრალდების მხარის მიერ სასამართლო სხდომაზე გამოკვლეული არაერთი მტკიცებულებით, მათ შორის - მოწმეთა ჩვენებებითა და .....ს სასახლის მიმდებარედ სხვადასხვა რაკურსით გადაღებული

ვიდეოჩანაწერებით, ცალსახად დადასტურდა, რომ 2019 წლის 20-21 ივნისს მშვიდობიანი საპროტესტო აქციის მონაწილეთა ნაწილის მხრიდან პროტესტმა მიიღო კანონსაწინააღმდეგო ხასიათი და გადაიზარდა ჯგუფურ ძალადობაში, თუმცა სისხლის სამართლის საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ვერ დასტურდება ი. ო–ის მიერ ჯგუფური ძალადობის ხელმძღვანელობა.

სისხლის სამართლის კოდექსის მე-18 მუხლის შესაბამისად: დანაშაულის მომზადებად ითვლება დანაშაულის ჩადენისათვის პირობების განზრახ შექმნა.

პირობების შექმნა რაც განზრახი ქმედება უნდა იყოს, გულისხმობს ძალიან მარტივ რამეს, კერძოდ კი შემდეგს:

გეგმის შექმნა, პირებთან შეთანხმება, როლების განაწილება: ვინ იქნება ხელმძღვანელი, ვინ განახორციელებს თავდასხმას, ვინ უზრუნველყოფს ლოჯისტიკას. დანაშაულისთვის ნივთების შეძენა, მომარაგება. სტრატეგიის დახაზვა, სად შეიკრიბებიან, როგორ შეასრულებენ თავდასხმას, ვინ იქნება მიზანი ან რა. კომუნიკაციის არსებობა მონაწილეთა შორის. ეს ნაბიჯები არის ყველაზე მინიმალური რაც აუცილებელია დანაშაულამდე მისასვლელად პირველი ყველაზე დაბალი ელემენტის, ზღვრის გადალახვა განზრახ და რასაც ეწოდება მომზადება.

კუმულაციურად უნდა იყოს ორი ან მეტი პირობის განხორციელება, ნათლად წერია: პირობების შემქნა (იგივე ლოგიკაა რაც მტკიცებულებათა ერთობლიობა), შესაბამისად ვასილ კაძელაშვილს მინიმუმ ორი ან მეტი ქმედება, ნაბიჯი უნდა გადაედგა მომზადებისთვის და ესეც კი არ არის და ამ დროს პროკურატურა თითქოს გვიმტკიცებს რომ დასრულებულია დანაშაულიო.

ჩვენს შემთხვევაში მომზადებაც არ არის, გეგმა არაფერი არ არსებობს, როლები არავისთან არაა გადანაწილებული, არანაირი იარაღების შეძენის ბრძანება ან მომარაგება არ ხორციელდება, კომუნიკაცია რომ არის ვინმესთან არ ჩანს. აღსანიშნავია რომ ვასილსაც და ვეფხიასაც ორივეს ორგანიზება, ხელმძღვანელობას ედავებიან ისე კი არაა რომ ვასილი ელაპარაკებოდა ვეფხიას და ის დაიყოლია და როლი მისცა ან პირიქით, არა ორივე ორგანიზატორიცაა და ხელმძღვანელიც ან ე. წ. ამსრულებელი ან ვიsზეც როლს გაანაწილებდნენ ესეც არაა, არც ერთურთში განაწილებულა რაიმე როლები მით უფრო იმ რეალობაში როდესაც არანაირ ბრახვას არ ჰქონდა არასდროს ადგილი.

და ამ აბსურდის მიუხედავად რომ მომზადებაც კი არაა და არანაირი პირობები არ შექმნილა და ეს არაა ჩემი ფიქრები და დასკვნები, აღნიშნულზე არსებობს ერთი მთლიანი ბიბლიოთეკა სასამართლო გადაწყვეტილებების.

ჩვენს დანაშაულს რა ჭირდებოდა და რომ არაფერი არაა სახეზე:

· წინასწარ შეკავშირდნენ ჯგუფური დანაშაულის ორგანიზების, ან ხელმძღვანელობის, ან მასში მონაწილეობის განსახორციელებლად;

· მოქმედებდნენ კონკრეტულ პირთან შეთანხმებით და ასრულებდნენ ვინმეს დავალებებს ან მითითებებს, ან თავად გასცემდნენ რაიმე სახის დავალებებს და მითითებებს;

· მოქმედებდნენ წინასწარ შეთანხმებით, ჯგუფურად და ორგანიზებულად და არა სპონტანურად, კონკრეტულ დროს, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე;

· მათ გაცნობიერებული ჰქონდეთ დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მიზანი და იცოდნენ საერთო დანაშაულებრივი საქმიანობის ან ამ ჯგუფის მიერ აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენის განზრახვის შესახებ.

მტკიცებულებები

საკმაოდ დიდი ხანი ვუსმენდით ბრალდების მხარეს იმ მოლოდინში რომ რაღაც ეტაპზე მაინც ახსენებდა რაიმე მტკიცებულებას რაზეც პასუხის გაცემა მოგვიწევდა დაცვის მხარეს. დასკვნითის ბოლო ეტაპზე ბრალდებამ მოკრძალებულად ახსენა შემდეგი მტკიცებულებები, რასაც ხაზი თავადვე გაუსვეს რომ თითქოსდა ადასტურებდა ვასილ კაძელაშვილის ბრალეულობას, კერძოდ კი:

შალვა ჯახუას პატაკი შემდეგი შინაარსით:

ჩემს მიერ მიღებული იქნა ოპერატიული ინფორმაცია, რომლის თანახმადაც საქმეში ფიგურანტი პირები ვეფხია კასრაძე და ვასილ კაძელაშვილს შორის საუბრის შესახებ ვიდეო ჩანაწერი იქნა გავრცელებული სოციალურ ქსელ ფეისბუქში ტელეკომპანია ტვ იმედის გვერდზე, რომლებიც საუბარში გეგმავენ საქართველოს პარლამენტის მიმდებარედ საპროტესტო აქციებზე ძალადობრივ ქმედებებს.

შალვა ჯახუამ იგივე დაადასტურა გამოკითხვის ოქმში და იქაც დაადასტურა რომ კონფიდენციალური ინფორმაცია მიიღო სანდო წყაროსგან.

პატაკის და ჩვენების მიხედვით ვიდეო რაც მოიპოვა შალვა ჯახუამ შეიცავს საქართველოს პარლამენტის მიმდებარედ განსახორციელებელ ძალადობრივი ქმედებების თაობაზე ინფორმაციას. სასამართლოში დაკითხვისას მარტივად დავუსვი კითხვები სად გაიგონა და საიდან იცის რომ პარლამენტის მიმდებარედ იგეგმებოდა ძალადობა ვასილის მიერ, პასუხად მივიღე რომ მამა დავითი ხომ იყო ნახსენები და ასევე წყნეთი ვიდეოში და აქდან გამომდინარე პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიად მიიჩნია. აქედან გამომდინარე დამატებით დავუსვი კითხვა თუ რას თვლის პარლამენტის მიმდებარე ტერიტორიად და ნათლად განმარტა, რომ პარლამენტის მიმდებარე ტერიტორია არის პარლამენტის წინა და უკანა ქუჩები, ასევე გვერდზე ჩამომსვლელი ქუჩები და ასევე დამატებით კითხვაზე დაადასტურა რომ უშუალოდ საქართველოს პარლამენტთან რაიმე სახის ძალადობრივი ქმედების დაგეგმვა ასე პირდაპირ არ ისმის ვიდეოში, თუმცა მან თავისით დაასკვნა რომ სწორედ საქართველოს პარლამენტის მიმდებარე ძალადობაზე საუბრობდნენ თითქოს ვასილი და ვეფხია და ასევე განმარტა რომ ადგილიც ივარაუდა რომ რუსთაველის გამზირია და ამის დამატებით ასევე განმარტა რომ ეს ვიდეო უნდა იყოს (არანაირი მტკიცების ფორმატი არ ყოფილა) სწორედაც რომ 28 ნოემბრიდან ჩაწერილი, თუმცა როდის ეს მან არ იცის.

მოწმე განმარტავდა თავიდან რომ მამა დავითი რომელიც საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობიდან 2.1 კილომეტრით, ხოლო წყნეთი (ზოგადად წყნეთის ხსენებაზე განმარტავდა) 15 კილომეტრით, მეტიც შეიძლება გამოძიბამ ვერ დაადგინა მაგრამ ასევე ერთადერთი სახელი რაც ითქვა და ეს იყო კალაძის მეუღლის მაღაზია არის ქ. თბილისში ივანე თარხნიშვილის N2-ში და პარლამენტისგან დაშორებულია 2.8 კილომეტრით და ამის ფონზე გამომძიებელი დაკითხვის პირველი ეტაპიდან ძალიან თავდაჯერებულად ცდილობდა შეცდომაში შევეყვანეთ ყველანი და განმარტავდა რომ ვიდეოს მიხედვით საქართველოს პარლამენტის მიმდებარე საპროტესტო აქციებზე ძალადობას გეგმავენ და პატაკით ამცნო უფროსს.

რატომ წერია ეს ყველაფერი იმ პატაკში და გამოკითხვაში ხომ ყველამ ვიცით რომ რაღაც მოეგონათ, ვითომ მტკიცებულება გააჩნდათ და აღსანიშნავია იმას კი არ ამბობდა რომ მისი ე. წ. ინფორმატორი ადგილზე იყო ან რამე იცის ვასილზე, ლინკი მომცაო და გავხსენიო კომპიუტერში და ინფორმატორისგან მხოლოდ ეს ვიდეო გააჩნია, მისგან რაიმე დეტალები კი არ მიუღია. ინფორმატორმა მიაწოდა ვიდეო რომელიც დათვალიერების ოქმის მიხედვით უკვე 23 საათი იდო საჯაროდ ფეისბუქზე და 100 000-ზე მეტი ნახვა ქონდა. ჩვენ ხო გვჯერა რომ ფსიქიკური პრობლემები და რეალობის აღქმის პრობლემა არ გააჩნდა შალვა ჯახუას, მაგრამ გამოძიებას ჭირდებოდა რომ ესეთი ფორმულირება და ესეთი ვიზუალი მიეცათ ამ ვიდეოსთვის და მისი მოპოვება თითქოს საგმირო და კონფიდენტების, ინფორმატორების უდიდესი ენერგია და რესურსი თურმე ტვ იმედზე ვიდეოს პოვნას ემსახურება.

ამ ვიდეოსთან ბმაში იყო დაკითხული ასევე გამომძიებელი ლევან ბასილაძე რომელმაც ჩაატარა დათვალიერება და გადმოწერა ზემოხსენებული ვიდეო. თავად ლევანმა განმარტა რომ ტექსტი რაც წერია დათვალიერების ოქმში იყო ის რაც მოისმინა თურმე ვიდეოდან, მაგრამ მალევე როდესაც კითხვა დავუსვი დათვალიერების ოქმის მეორე გვერდთან დაკავშირებით (აი ეს პრეზი... (სავარაუდოდ გულისმხმობს საქართველოს მომავალ პრეზიდენტ მიხეილ ყაველაშვილს) აღმოჩნდა რომ ვიდეოზე დამონტაჟებული ტექსტი რაც გასდევდა ამ ვიდეოს და რაც ცალსახად მანიპულაციის ნაწილია, თურმე ტიტრები ყოფილა გადმოტანილი დათვალიერების ოქმში და არა ის რაც მან მოისმინა.

ზუსტად იგივე რეალობის წინაშე დავდექით ლევან ბასილაძესთანაც თუ საიდან და როგორ ასკვნის რომ ამ ვიდეოში რუსთაველია, საიდან ასკვნის რომ რა პერიოდია, საიდან ასკვნის რომ ძალადობრივი ქმედების გეგმაა ეს და ამ ყვეალფერზე პასუხები აღმოჩნდა რომ მხოლოდ მისი მოსაზრებებია, თუ როგორ ჩათვალა მან რომ ესა თუ ის რეალობა უნდა განმარტოს შესაბამისად.

ისიც აღსანიშნავია რომ მესამე პირის საუბარში ყოფნასაც კი უარყოფდა და მისი განმარტებით გამვლელია და არაფერ შუაში არისო, თუმცა ამავე დროს მისივე ოქმის პირველივე აბზაცში ვკითხულობთ შემდეგს: ვიდეოჩანაწერში სამი მამაკაცი საუბრობს ერთმანეთში მათი საუბარი ვიდეოჩანაწერის ქვედა ნაწილში ტიტრების სახით ჩნდება. კითხვაზე ეს ადამიანი გამოძიებამ დაადგინა თუ არა ვინაა, ლევან ბასილაძმე განმარტა რომ საინტერესო არ იყო ეს ადამიანი და მნიშვნელოვანი ჩართულობა არ ქონდა - ამ ნაწილში არსენ ხუნაშვილთან მოვიდა წინააღმდეგობაში რომლის განმარტებითაც ეს ადამიანი თურმე აინტერესებდათ მაგრამ ვერაფრით გაარკვიეს ამ პირის ვინაობა.

ლევან ბასილაძემაც აღნიშნა სხვათაშორის რომ მამა დავითი თურმე მიმდებარე ტერიტორიაა პარლამენტის და მხოლოდ შემდგომ იგივე კითხვაზე რაც შალვა ჯახუას დავუსვი, თუ რას თვლის მიმდებარე ტერიტორიად აღმოჩნდა რომ საკმაოდ სწორად და ადეკვატურად შეძლებია მასაც მანძილის და ადგილის აღქმა.

ბრალდებამ ასევე განმარტა რომ ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნაც გვაქვსო, ექსპერტიზის რომელშიც არსად არ წერია რომ ეს ვიდეო ჩანაწერი შემოწმებულ იქნა ავთენტურობაზე, თავიდან ექსპერტი იმასაც კი განმარტავდა რომ დამუშავებული საერთოდ არაა ვიდეო და მერე უკვე ტიტრებზე რომ ვკითხეთ აღმოჩნდა რომ ეს ჩარევის თითქოს საერთოდ სხვა მეთოდია სახელად რედაქტირება და არა მონტაჟი. სიტყვების თამაშს თავი რომც დავანებოთ, ექსპერტს არ დაუდასტურებია თუ რაა

შინაარსია საუბრის, ხმა ვისია, რუსთაველია თუ ამბროლაურის ცენტრია კადრში, ექსპერტმა განმარტა რომ ვასილ კაძელაშვილის სახეა და მხოლოდ ეს დაადგინა.

უშუალოდ ვიდეო ჩანაწერს რაც შეეხება, აღნიშნული ჩანაწერი არ იქნა პირველ რიგში მოპოვებული კანონით დადგენილი წესით, არ არის ავთენტური, არაფერი არ ჩაუტარებია გამოძიებას ამ საკითხის დასადგენად, ვიდეო ჩანაწერში რაც კი ისმის ეს ვერანაირად ვერ ჩაითვლება გეგმის შემუშავებად, როლების განაწილებად. ვიდეო ჩანაწერიდან რაც გვესმის რომც ჩავთვალოთ რომ ნამდვილად ვასილი საუბრობს და ავთენტურია რას იძლევა ცალკე აღებული, რომ უკმაყოფილო ადამიანი საუბრობს? მეტი რა იყო ამ ვიდეოში რასაც მოუსმინეთ ბატონო მოსამართლე? ეს როგორ შეიძლება ვინმემ მიიჩნიოს რაიმეს დაგეგმვად?

მთლიან ვიდეოში არის 18 ფრაზა ამას გამოვაკლოთ მესამე პირის ჩანართები გამოდის 16 ფრაზა და გავყოთ ორ კაცზე ვასილზე და ვეფხიაზე 8-8 ფრაზით, თავისი აბსტრაქტულობით და შეუთანხმებლობით როგორ შეიძლება ადამიანმა თქვას რომ ეს ვიდეო ადასტურებს ვასილის ორგანიზატორობას, ხელმძღვანელობას ძალადობრივ ქმედებებში რაც პარლამენტის მიმდებარედ მოხდა, თან თურმე არც ედავება პროკურატურა თუ ედავება?

რა გმოდის რა „მტკიცებულებები“ წარმოადგინეს:

1. ჯახუას პატაკი (ცალკე აღებული მტკიცებულებითი არანაირი მნიშვნელობის მქონე არაა, საჯაროდ გავრცელებულ ვიდეოს დათვალიერებას პატაკის მოგონება არ ჭირდება და არც არაფერს არ მატებს). ჯახუას გამოკითხვა/დაკითხვა (სულ რომ დამაჯერებლად მივიჩნიოთ ირიბ მოწმედაც ვერ გამოდგება, იმ მარტივი მიზეზის გამო რომ არანაირი შესაძლებლობა წყაროს იდენტიფიკაციის და დაკითხვის არ არსებობს).

2. ლევან ბასილაძის დათვალიერების ოქმი/დაკითხვა (ამ ადამიანმა ვიდეო დაათვალიერა და გადმოწერა, მხოლოდ შეფასებებს გვაძლევს და რაიმეს შემსწრე არაა, ამ წარმატებით 100 000-ზე მეტმა ადამიანმა ვინც უყურა ამ ვიდეოს ინტერნეტში ყველა მოწმედ გამოდგებოდა).

3. ვიდეო ჩანაწერი (არანაირი ქმედითი ნაბიჯები ამ ვიდეოში არაა და არანაირი დანაშაულის ნიშნების მქონე არაა).

4. ჰაბიტოსკოპიური ექსპერტიზა (მხოლოდ ადასტურებს რომ სახე ვასილ კაძელაშვილისაა და მეტი არაფერი).

რა გამოდის, სადაა მტკიცებულებათა ერთობლიობა რაც საჭიროა გამამტყუნებელი განაჩენისთვის? პირველი წარდგენის სხდომიდან მოყოლებული ვამბობთ რომ არაა მტკიცებულება, არაფერი არ გააჩნია გამოძიებას და ბუნებაშიც არ არსებობს.

გამამტყუნებელი განაჩენი ვერ უნდა დადგეს, ყველანაირ ლოგიკას ეწინააღმდეგება ბრალდება და პროკურორების სიტყვები.

გამამართლებელი განაჩენი უნდა დადგეს, მაგრამ მენერვიულება, გულწრფელად რადგანაც რთულია დღეს მსგავს საქმეზე სწორი და სამართლიანი გადაწყვეტილების მოლოდინი გქონდეს მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, იმის გათვალისწინებითაც თუ რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მოიტანა ბრალდებამ საქმე სასამართლოში და ის არსებითად განიხილება, მე-9 თვეა პატიმრობაში

არიან დატოვებული პირები ამ სტანდარტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით. თუმცა, გულწრფელად მაინც მაქვს იმედი რომ სასამართლო მიიღებს სწორ და ერთადერთ შესაბამის გადწყვეტილებას როგორიცაა გამამართლებელი განაჩენი.

პატივისცემით,

რევაზ აჭარაძე

თარიღი: 25/08/2025

---

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 13 მაისის გადაწყვეტილება, №1/1/428,447,459.

[2] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-19 მუხლის პირველი ნაწილი: სასამართლო სახელმწიფო ხელისუფლების ერთადერთი ორგანოა, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს მართლმსაჯულება, განიხილოს სისხლის სამართლის საქმე, გამოიტანოს კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანი განაჩენი. ამავე კოდექსის 259-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით: სასამართლოს განაჩენი დასაბუთებულია, თუ ის ემყარება სასამართლო განხილვის დროს გამოკვლეულ, გონივრული ეჭვის გამომრიცხავ მტკიცებულებათა ერთობლიობას. სასამართლოს განაჩენში ჩამოყალიბებული ყველა დასკვნა და გადაწყვეტილება დასაბუთებული უნდა იყოს.

[3] (El Masri v The Former Yugoslav Republic of Macedonia № 39630/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2012 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება; Hassan v The UK №29750/09, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2014 წლის 16 სექტემბრის გადაწყვეტილება).

[4] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 76-ე მუხლის მე-2 ნაწილი: ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია.